საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2063 2014 წლის 24 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების თაობაზე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და 10[1] მუხლის 3[1] პუნქტების შესაბამისად, ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილ №14-ში (ს/კ №66.45.07.160) მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფოს შენობა) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მრავალწლიანი შესყიდვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი